

პრემიერმა ხელისუფლების წარმომადგენლებს საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაცია მოსთხოვა



პრემიერმინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა რეგიონის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე 2014 წელი შეაჯამა და წარჩინებული და ჩამორჩენილი მუნიციპალიტეტები დაასახელა, რომლებსაც ბიუჯეტის თანხების სრულად ათვისებისკენ მოუწოდა.

მან ასევე მოუწოდა რეგიონის ადგილობრივ ხელმძღვანელობას გაეიდინენ ხალხში და აუხსნან თუ რას საქმიანობს მთავრობა. "მაქსიმალურად იმუშ-

ავეთ, გადით ხალხში და აუხსენით რას ვაკეთებთ. არის ქალაქები და გამგებობები, სადაც ძალიან ეფექტურად იმუშავეს და სრულად ეფექტურად ათვისეს თანხები." - განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა. გურიის რეგიონში მან წარმატებულ რაიონებად ოზურგეთი და ჩოხატაური დაასახელა.

საზოგადოებასთან მეტი კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაოების დაჩქარება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება, საკურორტო სეზონისთვის მზადება, საბიუჯეტო შესრულების კუთხით გააქტიურება, - ასეთი დავალება მიიღეს გუბერნატორებმა, მერებმა და გამგებლებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრისგან.

შეხვედრაზე მთავრობის

მეთაურმა ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

„ ჩვენთვის მთავარია, რაც შეიძლება სწრაფად დავეძლიოთ პრობლემები, რათა მოსახლეობისთვის უმტიფინელოდ ჩაიაროს მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესებმა და გადავიდეთ წინსვლაზე. ჩვენ მთლიანად კონცენტრირებული ვართ იმაზე, რომ გააქტიურდეს ეკონომიკური პროცესები, განსაკუთრებით რეგიონებში, რეგიონალური განვითარება თითოეული მუნიციპალიტეტის და სოფლის დონეზე არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. ასევე მნიშვნელოვანია დავაჩქაროთ ტემპები ინფრასტრუქტურული პროექტების,“ - აღნიშნა პრემიერმა.

„მანქანა „ბარაჟში“ მიღვება და სამსახურში ფეხით დაგდივარ“



მარი კომოვი

აპოლონ წულადის ქუჩის გასწვრივ მდებარე შენობაში განთავსებულია აფთიაქები, მაღაზიები, სალონები, ფოტო სალონები და ა.შ. აქ მომუშავეები



ა ლ ი რ ნ ი

უბველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოსცემს 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოფილი პირველი გამომცემი №11 (10101), 16 მაგისტ, 2015 წ. ზახი 50 თეთრი.

არის თუ არა ოზურგეთში ქიმიური და რეაქტიული ნარჩენების საფრთხე

გაშორიბარი დეპუტატის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის დახმარებით ოზურგეთის პრივისისპის მართვის ჯგუფი მსტუმრა

საქართველოს პარლამენტის წევრს, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ზვიად კვაჭანტირაძეს განცხადებით მიმართა (9.12.2014) ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფმა (ნუგზარ ასათიანი, თემურ მარშანიშვილი, ლადო მენაბდე, თეა იოსელიანი, გიორგი გირკელიძე, გონა ჭანიშვილი...) , რომელიც ეხებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიასა და სოფელ ჭანიეთში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიებსა და ანასეულში ქიმიური და რეაქტიული ნარჩენების კონსერვაციის ადგილებზე ქიმიური და რადიაციული უსაფრთხოების კუთხით შექმნილ მდგომარეობას; საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია ოზურგეთში არსებული მძიმე და დღემდე გადაუჭრელი პრობლემის შესახებ, რომელიც მა-

კანთა დაუდევრობით ხელოვნურად არის შექმნილი და რამდენიმე ათეული წელია ხალხი უშედეგოდ ითხოვს დახმარებას.

ოზურგეთში არსებული მერიისა და ჭანიეთის სამხედრო ბაზებიდან წლების წინ გაიტანეს ტყვია- წამალი და სხვა სამხედრო აღჭურვილობა. ადგილზე დიდხანს იყო შემორჩენილი სარაკეტო და ბალისტიკური საწვავის-მელანქისა და სამინის დიდი რაოდენობა, რომელთა ზერეაქტიული თვისებებიდან გამომდინარე მათი არამიზნობრივი გამოყენების შედეგად დაავადდა უამრავი ადამიანი...

გთხოვთ, არსებული პრობლემის მოგვარებაში დაეხმაროთ ხალხს, რომელიც დიდი ხანია უკიდურეს გასაჭირში იმყოფება"- წერია ჟურნალისტთა განცხადებაში. აღნიშნ-

ბაღდადელთა ხმაელალი კამათი კეთილგანწყობილი დიალოგით დაითავრდა



ალიონი. სოფ. ცხემლისხიდში სოფლის მხარდაჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, საკრებულოს დეპუტატებთან ლალი სიჭინავასთან და ინგა დუმბაძესთან ერთად სოფლის მოსახლეობას შეხვედნენ.

მერაბ ჭანუყვაძემ ადგილობრივ, მოსახლეობის წარმომადგენლებს გააცნო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების ნუსხა, რომელიც სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებს თემში შემავალ სოფლებში -ცხემლისხიდსა და ბაღდადში, რომელთა

საერთო ღირებულება 896 398 ლარია. გარდა ამისა, 2015 წელს სოფლის მხარდაჭერი პროგრამით 45 ათასი ლარია გამოყოფილი. აქედან სოფ. ცხემლისხიდს 17 115 ლარი გამოეყო, უჩხუბს - 8991ლარი, ბაღდადს -19 021 ლარი.

- ჩვენი ოპონენტებისაგან განსხვავებით ჩვენ თანხების განაწილებას ერთპიროვნულად არ ვაპირებთ. ჩვენ უფრო ახლოს ვართ ხალხთან, რაც ჩვენი გუნდის წარმატებული მუშაობის შედეგია -თქვა მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებიდან ყველაზე მთავარი მდ. ნატ-

ანების აუზის გასწორებასა და ახლებზე, რაზედაც 613 845 ლარი დახარჯება. დარჩენილი თანხიდან მოხდება ნაბუჯარას სათავის რეაბილიტაცია, ხიდების რეაბილიტაცია სოფ. ცხემლისხიდში, მდ. ნატანებზე და ცხემლისხიდი-თავკობულის დამაკავშირებელის. 7 ადგილზე (ბაღდადი, ცხემლისხიდი-ზეგანი) დაიგება ბეტონის გზა.

მერაბ ჭანუყვაძის თქმით, წელს რეგიონალური და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით დამთავრდება ცხემლისხიდი-ვაკიჯვარი-შემოქმედის შემაერთებელი გზის მშენებლობა და სოფ. ბაღდადში აიგება ახალი ბაღის შენობა.

სოფლის მხარდაჭერი

პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების მიზნობრიობის განხილვისას, თავიანთი წინადადებები წამოაყენეს როგორც ცხემლისხიდის, ისე ბაღდადის წარმომადგენლებმა.

მაგალითად, სოფ. ბაღდადში, ცულ მდგომარეობაშია ხომერიკების უბანში მისასვლელი გზა, შესაცვლელია 700 მეტრი სასმელი წყლის მილი, რაზედაც ამ უბნის წარმომადგენელმა დააყენა საკითხი და გამგებლისაგან შესაბამისი წინადადება მიიღო.

-რატომდაც ბაღდადი თითქოს იხლიჩება კენჭისუ-



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ლირებული 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ლირებული 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად
- საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.**

არის თუ არა ოზურბეთში ქიმიური და რეაქტიული ნარჩენების საფრთხე

ული განცხადების საფუძველზე ოზურბეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა საქართველოს პარლამენტში ზვიად კვაჭანტირაძემ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ოფიციალური წერილით მიმართა:

„ბატონო პრემიერ-მინისტრო, ოზურბეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერიაში და სოფელ ჭანიეთში ყოფილი სამხედრო ბაზების ტერიტორიიდან რეაქტიული საწვავი გატანილია, მაგრამ დიდი რაოდენობით ნიადაგშია ჩაღვრილი, რაც რადიაციული და ტოქსიკური მოწყობის საშიშ კერადაა ქცეული.“

მოგმართავთ თხოვნით, პრობლემის კომპლექსურობიდან გამომდინარე პირადად თქვენ კონტროლის ქვეშ აიყვანოთ შექმნილი ვითარება და დაავალოთ შესაბამის უწყებებს, შესწავლილ იქნას სოფელ მერიაში ყოფილი სამხედრო ბაზა, სოფელ ჭანიეთში ყოფილი სამხედრო ნაწილი, ოზურბეთში (ანასეულში) ქიმიური და რეაქტიული ნარჩენების დაკონსერვების ადგილი და სხვა საფრთხის შემცველი ტერიტორიები. ასევე მოგმართავთ თხოვნით, შექმნათ შესაბამისი კომისია, რომელიც შეისწავლის მოსახლეობის დასვენების მიზეზებს და დაადგენს დაავადებუ-

ლთა რაოდენობას. ამასთან ერთად, აუცილებლად მიგვაჩინა, მთავრობის ხელშეწყობით გაიწმინდოს და მოწესრიგდეს მიტოვებული და ნანგრევებად ქცეული ფართობები, რომელიც ანტისანიტარიის კერებადაა ქცეული.“

ზვიად კვაჭანტირაძის შუამდგომლობის საფუძველზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სახელმწიფო უსაფრთხოების მართვის საბჭოს აპარატთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულია; საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ოზურბეთის მუნიციპალიტეტის გამგებობის თანამშრომლები და ასევე საქართველოს პარლამენტის წევრის, ოზურბეთის მაჟორიტარი დეპუტატის ზვიად კვაჭანტირაძის ბიუროს თანამშრომელი, დეპუტატის თანამშრომელი გიორგი დათუნაშვილი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფი რამდენიმე დღეში დაიწყებს მუშაობას. ამ სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა თბილისში, მთავრობის კანცელარიაში შედგა.

ალექსანდრე ყველაშვილი გადადგა

ოზურბეთის მუნიციპალიტეტის გამგებობის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილი თანამდებობიდან გადადგა. მან თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება გასული კვირის ხუთშაბათს დაწერა. რედაქცია მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ეკა მეგლაძეს დაუკავშირდა, რომელმაც ინფორმაცია დაადასტურა. ეკა მეგლაძის თქმით ალექსან-



ალექსანდრე ყველაშვილი თბილისში საკუთარ საქმიანობას უბრუნდება

ოზურბეთში თხილის გადაამუშავებელი საწარმო გაიხსნება

ალიონი. ოზურბეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დეპუტატმა, ინგა ლუმაძემ ინფორმაცია გაავრცელა „მინდა სასიხარულო ინფორმაცია მოგაწოდოთ. ჩემი და ჩემი ყოფილი ბიზნესპარტნიორების დიდი ძალისხმევით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით ოზურბეთში უკვე განხორციელდა პირდაპირი ინვესტიცია(აზერბაიჯანული ინვესტიცია) 200 ათასი დოლარის ფარგლებში. უცხოელმა ინვესტორმა გურამიშვილის ქუჩაზე შეიძინა 1500 კვმ ფართობის მინდობა სადაც განთავსდება თხილის გადამამუშავებელი საწარმო. ინვესტორი სეზონზე გვემავს 2000 ტ. ნედლეულის გადამამუშავებას. დასა-

ქმდება დაახლოებით 150 კაცი როგორც სოფლის ასევე ქალაქის მაცხოვრებელი. თქვენ იცით, რომ ჩვენი კუთხისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოზიდვას. ამიტომ არ დავიშურებ ძალისხმევას და ბიზნესმენს გავუწიებ კონსულტაციებს, დავარწმუნებ, რომ ქვეყანაში არის ლიბერალური საინვესტიციო გარემო, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, კარგად განვითარებული ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა და რაც მთავარია ადგილობრივ და უცხოველ ინვესტორებს შორის თანაბარი პირობები“ განაცხადა ლუმაძემ.

ბაღდადელთა ხმაელაღალი კამათი კეთილგანწყობილი დიალოგით დამთავრდა

ბნად, სვანების, ბორჩხაძეების, ხომერეკების უზუნებად- თქვა ამ სოფლის მაჟორიტარმა დეპუტატმა ლალი სიჭინავამ.

კრების დამთავრებისთანავე გავიკეთ, რომ ბაღდადელების ერთი ჯგუფი ხელისუფლებასთან შეხვედრას მათ უბანში ითხოვდნენ.

სოფლის ცენტრში 20-მდე ადამიანი იყო შეკრებილი. ისინი თავდაპირველად აგრესიულად მიმართავდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.

ითხოვდნენ არ დაენგრიათ სოფლის ცენტრში მდებარე ამორტიზებული შენობა და საბავშვო ბაღი სხვა ადგილას გაეკეთებინათ. ერთობა სკოლის გახსნა მოითხოვა.

—მერე რა, გზა რომ გაკეთდა, იგი ვაკიჯვარში მიდის და არა ბაღდადში. ამდენი წელია გვატყუებს ხელისუფლება. ახლა თქვენ მოხვედით. რა გააკეთებ ბაღდადისათვის, ნასოფლარს რომ ჰგავს.

მას მერაბ ჭანუყვაძე უხსნიდა,

რომ ისინი 7 თვეა არიან ხელისუფლებაში და წელს სოფ. ბაღდადში თანამედროვე ტიპის საბავშვო ბაღს აგებენ. გარდა ამისა, სოფლის გზების რამდენიმე მონაკვეთის რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. საბავშვო ბაღის მიმდებარე ტერიტორიას კეთილმოაწყობენ. რაც შეეხება ხის ძველ შენობას, მას ეკლესიას გადასცემენ და ეკლესია სატრაპეზო შენობას ააგებს.

ბაღდადელები: მზია ბაკურაძე, მაცაცო ბარამიძე, ნუგზარ ჯან-

თელი დაობდნენ წარსული წლების უყურადღებობაზე, იმაზე, რომ პრობლემები დაგროვდა და ბაღდადი ძალიან ჩამორჩა დაწინაურებულ სოფლებს.

— ყველაფერს ერთად ვერ გავაკეთებთ, მაგრამ გაბრძობით, თქვენ სოფელს ყურადღებას არ მოვაკლებთ— დაამშვიდა ბაღდადელების ერთი ჯგუფი გამგებობა და ხმამაღლა დაიწყებული კამათი კეთილგანწყობილი დიალოგით დამთავრდა.

„მანქანა „ბარაქში“ მიღება და სამსახურში ფეხით დაგვიტარ“

გვიყვებიან, რომ ზოგიერთი მათგანი სამსახურში ფეხით დადის და მანქანას სახლში ტოვებს, რადგან დილით ძალიან ადრე თუ არ მივიდა გასაჩერებელ ადგილს ვეღარ იპოვის. უფრო მეტად ის აწუხებთ, რომ „კლიენტები“ მათთან მისვლას იმ მიზეზით ერიდებიან, რომ ახლომხლო ავტომობილს ვერ გააჩერებენ, რადგან პარკირებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ადგილები აღარ არის. დისტრიბუტორებსაც ხელი ეშვებათ. იძულებული არიან ისეთ ადგილას გააჩერონ ავტომანქანა, რომელიც არ არის განკუთვნილი პარკირებისთვის და შესაბამისად დაჯარიმების ფაქტებიც ბევრია. სწორედ ამიტომ სურთ აღნიშნული პრობლემით ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურები დაინტერესდნენ. მათთვის პრობლემაზე ინფორმაციის მიწოდება ჩვენ გვთხოვეს.

ისიდორე მფარაიშვილი (აფთიაქის მეპატრონე):—მარტო მე არ მაწუხებს ეს პრობლემა. აქ არის მალაზიები, ფოტო სალონი და. აფთიაქები. მათ თანამშრომლებს ჩემსავით აწუხებს პრობლემა. ამას თვითონაც დაგვიდასტურებენ. ცუდ დღეში ვართ ვერც დისტრიბუტორები და ვერც მომხმარებლები ვერ ჩერდებიან

ახლომხლო დაჯარიმების შიშით. პრობლემა ხშირად გვექმნება. მაგალითად მაშინ, როცა დისტრიბუტორი მოდის და გადმოტვირთვას იწყებს. სად უნდა დააყენოს მანქანა? ჩვენ არც პატრულის საწინააღმდეგო უპაქს რამე და არც წესრიგის გეგმად გვინდა გამოსავალი მოიძებნოს. იქნებ მოხერხდეს ჩვენი და მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლების შეხვედრა და საკითხის განხილვა.

მასტანო ღოლიძე (ფოტოსალონის თანამშრომელი): ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილი არაა. მძღოლებს აჯარიმებენ მაშინაც როცა არ არღვევენ მოძრაობის წესებს და უბრალოდ მანქანა ყავთ გაჩერებული მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მონიშნულ მსგავსი სამსახური პრობლემის მოგვარება შესაძლებელია. აქ ფართო გზა შესაძლებელია მოპირდაპირე მხარეს გამოიყოს პარკირებისთვის ადგილი. კლიენტებს აქ მოსვლა ეზარებათ. გვეხმის, რომ საპატრულო პოლიცია კანონს იცავს, მაგრამ ჩვენ რა ვქნათ. შეიძლება პატრულის რომელიმე თანამშრომელს საერთოდ არ უნდა რომ დაგვჯარიმოს, მაგრამ ემინია სხვა ეკიპაჟმა არ მომისწროს და

დამამინოსო. პირადად მე მაჯარიმებდნენ რამდენიმე დღის წინ, მაგრამ დავარწმუნე, რომ მართალი ვიყავი და აღარ ამომიწერეს ჯარიმა.

დათო ბურჭულაძე (ფოტოსალონის თანამშრომელი): მანქანა „გარაჟში“ მიღება და სამსახურში ფეხით დაგვიტარ იმის გამო, რომ აქ არასდროს არაა გასაჩერებელი ადგილი. სად წავიდეთ? ვთქვით დაინახე, რომ პარკირების ადგილიდან მანქანა გამოდის ადგილი თავისუფლდება და ელოდები დადგე მოვა პატრული და დაგვჯარიმებს. ამასწინათ ჩემს მეგობარს უთხრეს ახლა გადაამრჩი ჯარმას მაგრამ სხვა დროს მაინც გამოვიჭერო. ოცნების წვერი ვარ, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ არ იქცევან სწორად. საინტერესოა ვისგან იღებენ დავალებას, რომ ბიუჯეტი შეავსონ. ხალხს ჯარიმების კი არა პურის ფული არ აქვს.

სულიო ნაცვალაძე (სამკერვალოს თანამშრომელი): რამდენიმე დღის წინ ჩემთან გასული „კლიენტი“ დაგვჯარიმეს 50 ლარით. დაჯარიმების ფაქტებს აქ ყოველდღე ვხვდებით. ხელი გვეშლება აღარ აჩერებენ აქ მანქანებს არ დაგვჯარიმონ ემინიათ. მაგათ თუ უნდა მუშაობა ჩვეც გვინდა.

ბაღონა სირაძე: ძალიან

გართულდა მდგომარეობა. ამ პრობლემის გამო კლიენტებმა იკლო .

იასონ მფჟალიანი (მოძვესრიგებელი) :პარკირებისთვის გამოყოფილი ადგილიც არაა მოწესრიგებული, რაც იწვევს არეულობას. აქ უნდა იყოს პარკირების მარკირებელი. არ არის შესაბამისად დახაზული. და ხშირად ხდება, რომ ცუდად დააყენა მძღოლმა და ორი მანქანის ადგილი დაიკავა. ხომ მეტყვის ადამიანი ფულს მახდევინებ და გასაჩერებელი ადგილი არ გაქვსო.

ჩვენს რესპონდენტებს ქ. ოზურბეთის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **მირაბ ჟივზივაძე** ასე უპასუხა- აღნიშნული პრობლემის შესახებ ჩვენთვის ცნობილია. ეს პრობლემა მერტო ერთ კონკრეტულ ქუჩას არ ეხება. საკითხი კომპლექსურადაა განსახილველი მთელი ქალაქისთვის. როგორც იცით ახლა ქალაქში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ბორდიურების და სანიაღვრე არხების მოწყობა. ამის შემდეგ დაიწყება მუშაობა პარკირების საკითხთან დაკავშირებით. ამ თემასთან დაკავშირებით თუ ვინმეს უნდა ჩვენთან შეხვედრა მზად ვართ. თუ სურვილი აქვთ შეუძლიათ განცხადებითაც მოგვმართონ.

სარეკლამო მომსახურება

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
 nugzarasatiani@rambler.ru
 558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ
მარშანიშვილი
 tem52@mail.ru
 599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურბეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურბეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაინყეთ ყოველი მიზნობრივი აქტიონზე

«ალიონით»

„სულ არ მინდა ამ ბაჩირება, მირჩევნია მიწაზე ვიმუშაო“



ალიონი. ოზურგეთის ყოფილი საავადმყოფოს 5-სართულიან და ყოფილი სამშობიარო სახლის 3-სართულიან შენობებში ათეულობით ადამიანი შესახლებული, მათგან ბევრი სოფლის მოსახლეობაა. ქ. ოზურგეთის მერიასთან შექმნილი სპეციალური კომისია სწავლობს მათ პირობებს და ფიქრობენ ქ. ოზურგეთში მცხოვრები უსახლკარონი სამშობიარო სახლის შენობაში შეასახლონ.

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის შესაბამისად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ყოფილი სამშობიარო შენობა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადასცა. შენობის რეაბილიტაციისათვის საჭირო სპროექტო სამუშაოების თანხა რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოიყო.

სად დაკმაყოფილებიან ამ შენობებში მყოფი სოფლებიდან ჩამოსული მოსახლეობა, რომლებიც ბინის მიღების მოთხოვნებს აკმაყოფილებენ?— ამ კითხვით მუნიციპალიტეტის გამგებელს, მერაბ

ჭანუყვაძეს მივმართეთ.

მერაბ ჭანუყვაძე: — მუნიციპალიტეტში 400-მდე უსახლკარო გვაყავს. მათგან ბევრს სახლი მეწყერმა დაუზიანა და საცხოვრებლად უვარგისი გახდა. გადავწყვიტეთ სოფ. მერიაში აღკვადებით 70-ბინიანი სახლი, რაზედაც ბიუჯეტიდან 550 ათასი ლარი გამოყო და იქ შევქმნათ ცხოვრებისთვის შესაფერისი პირობები.

ყოფილი სამშობიარო სახლის რეაბილიტაციისათვისაც შესაბამისი თანხა გამოყოფილი და ახლა მიმდინარეობს შესწავლა დროებით სად განათავსონ ის მცხოვრებლები, რომლებსაც ალტერნატიული ფართი არ გააჩნიათ.

მშვიდობაურად ასევე მფავანძეს მიწა გააჩნია, მაგრამ საცხოვრებელი სახლი მეწყერისგან ავარიულ მდგომარეობაში აქვს და საცხოვრებლად საშიშა.

„ცნობა ეძლევა სოფ. ბაზეში მცხოვრებ ასევე მფავანძეს მასზე, რომ ამ მოქალაქის საცხოვრებელი სახლი დაზიანებულია მეწყერის შედეგად და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ოჯახი გასაყვანია საცხოვრებელი ად-

ილიდან. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ბადრი გობრონიძე. 2. 02. 2015 წ.“

— ჩვენ ეკომიგრანტები ვართ. 1968 წლიდან მშვიდობაური-მთისპირის საზღვარზე ვცხოვრობთ. მამა გარდამცვალა, დედა დავარდნილია. მყავს მუყაღი და სამი შვილი. ფაქტობრივად უსახლკაროდ ვარ. დროებით საავადმყოფოს შენობას შევავარე თავი.

— აქ ქალაქში მცხოვრებ უბნაობებს დააკმაყოფილებენ. თქვენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს უნდა მიმართოთ, რომელიც სოფლის მცხოვრებლებისთვის სოფ. მერიაში აპირებს 5-სართულიანი კორპუსის გარემონტებას— უთხრა მას ქ. ოზურგეთის მერიის სოციალური სამსახურის უფროსმა თამარ ლეშაძემ.

— სულ არ მინდა აქ გაჩერება, მირჩევნია მიწაზე ვიმუშაო, მაგრამ სადაც სახლი მიღვას, იქ არ იცხოვრებ. იქნებ იმავე სოფელში შეძლოს მთავრობამ ჩემთვის სახლის შექმნა...

ეროლი გორდელაძე, სოფ. ბაზეის მაჟორიტარი დეპუტატი:— ვიცით ასევე მფავანძის ოჯახის მდგომარეობა. საცხოვრებელი სახლის სასურავიც გავარემონტებინეთ, ადგილზეც ვიყავით, მაგრამ იქ ისეთი მეწყერული პროცესებია განვითარებული, ნამდვილად არ იცხოვრება, საშიშა.

ვიცო, მთავრობას სპეციალური კომისია ჰყავს გამოყოფილი და გეოლოგები სწავლობენ ასეთი ოჯახების მდგომარეობას. თუ პირველ კატეგორიას მიანიჭებენ, სახელმწიფო ფულად დახმარებას გაუწევს (განსაზღვრული თანხის ფარგლებში) საცხოვრებლის შესაქმნად-გვითხრა გორდელაძემ.

ფაშვალეთლები მებ ყურადღებას ითხოვენ



ალიონი. სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია სოფ. ვაკიჯვარის თემის მოსახლეობას შეხვდნენ.

წელს სოფ. ვაკიჯვარში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სარწყავი არხის ჩამკეტებისა და წყლის არხის აღდგენისათვის 6996 ლარი დაინარჯება, ხოლო მდ. ღურღანაძე გაბიონის მოსაწყობად —14 027 ლარი.

სოფლის განვითარების პროგრამით ვაკიჯვარის თემს 35 133 ლარი აქვს გამოყოფილი. აქედან, ვაკიჯვარს—18 413 ლარი, ფაშვალეთს —16 555 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა თქვა, რომ 2015 წელს ამ გზების რეაბილიტაცია მოხდება, რომელთა მშენებლობა გასულ წელს დაიწყო. დამატებით მხოლოდ ბაზე-ასკანის გზის რეაბილიტაციას გეგმავენ, რასაც „ასკანელი ძების“ მიერ სოფელში 10 მილიონიანი პროექტის განხორციელებას უკავშირებენ.

— ჩვენ ვალში ვართ ფაშვალეთთან და ჩემი გამგებლობის პერიოდში აუცილებლად აღვადგენთ ფაშვალეთ-მთიპირის დამაკავშირებელ გზას.

სოფ. ფაშვალეთში სასმელი წყლის პრობლემებზე დააყენეს საკითხი ოთარ

და კუკური ინჟინერებმა.

კუკური ინჟინერი: ჩვენს უბანში (№1 ბრიყადის ტერიტორია) 1950 წელს დაიდგა 12-ტონიანი წყლის ავზი, რომელიც პერიოდულად იმშენებოდა და უბნის მოსახლეობას მიწოდებდა ტექნიკური წყალი. გვიანდაც სპეციალისტები დავიხმართ ავზის გასუფთავების საშუალოს შესრულებაში. ფაშვალეთ-მთიპირის საზღვარზე მცხოვრებლებს წყაროს წყალი აქვთ, მაგრამ 350 მეტრი მილი სჭირდებათ— ამ საკითხზე დახმარება დავით თვლირატემ ითხოვა.

ვაკიჯვარულ ინდ. მეწარმეს მარინა ლოლიტეს მალაზიის შენობის შექმნა სურს.

— კი ბატონო, გავიტანთ აუქციონზე და მიიღეთ მონაწილეობა—უპასუხა მერაბ ჭანუყვაძემ.

სოფ. ვაკიჯვარში ამ სოფლის რწმუნებულის როლანდ ხუნდაძის ინიციატივით, რაგბის სექცია ჩამოყალიბდა, სადაც მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების კავშირიდან მწვრთნელი შუქრი რუსიეშვილი ავარჯიშებს 18 ბავშვს. კრების შემდეგ მერაბ ჭანუყვაძემ და ზვიად უნგაძემ ამ სოფელში რაგბის განვითარებაზე და ჭიდ-აბის სექციის აღდგენაზე ისაუბრეს.

კომისიების ანგარიშები მოიხსენეს

2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენით დაიწყო ბიუროსა და საზოგადოებრივი დარბაზის ერთობლივი სხდომა. გამგებობის თანამდებობის პირების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა, მათ მიერ გამოცემული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება, სხვადასხვა სფეროში ზედამხედველობის განხორციელება იყო ის ძირითადი საკითხები, რომელზედაც იურიდიული სამსახურის უფროსმა ანგარიშში ისაუბრა.



ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ბადრი გობრონიძემ კი კომისიის თავმჯდომარეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხა. სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 28 თემში 1 347 000 ლარის ღირებულების სამუშაოების განხორციელება; საყანე ფართობებთან მისასვლელი ხრეშოვანი გზების მოწყობა; გარდამავალი პროექტების განხორციელება, 24 – 29 სექტემბრის სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებლად სპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გაამახვილა ყურადღება სამსახურის უფროსმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახ-

ურის ანგარიშში გაწეული მუშაობის შესახებ, ძირითადად სამსახურში შემავალი განყოფილებების ფუნქციების შესაბამისად რიგი საკითხების ადმინისტრირებაზე ისაუბრა საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა ნანა ხომერიკმა.

როგორც ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიგა ხარაბაძემ განმარტა, უკვე შემუშავებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ინვენტარიზაციის ფორმები, რომლის მიხედვითაც მოხდება ჩვენი სოფლების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს სოფლების ეკონომიკური თუ სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

მანვე ისაუბრა, სამი ძირითადი კომპონენტის თხილის, ციტრუსის და მეჩაიობის განვითარების პროექტების და აგროდაზღვევის შესახებ, რომლის ფარგლებში ჩართული 2 080 ბენეფიციარი 230,0 ათასი ლარის სადაზღვეო პრემიას მიიღებს; ასევე მეცხოველეობასთან დაკავშირებით სიახლეებსა და პრაქტიკულ კონსულტაციებზე, რომელიც ამ სამსახურმა ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა საკითხზე გაუწია.

სხდომაზე გამოცხადებული შეჯამების შემდეგ გამგებობის სხვა დანარჩენი სტრუქტურული ერთეულებისა და ა. (ა) ი. პ-ების, შპს-ების ხელმძღვანელების ანგარიშებს მოიხსენეს.

კეთილმოწყობის სამუშაოები სპორტულ გამაჯანსაღებელ კლუბში

მარი კოპოვი



სპორტულ გამაჯანსაღებელი საცხენოსნო კლუბ „მარულასათვის“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 36 000 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხა გათვლილია სახელფასო, საკვები, სამედიცინო და სამეურნეო-სარემონტო სამუშაოებისთვის.

გასული კვირის ოთხშაბათს, საცხენოსნო ბაზას, ა. ი. ა. კულტურის, სპორტის და ტურისტიკის განვითარების ცენტრის დირექტორი, ავთო სირბილაშვილი და საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლელა საჯია ესტუმრნენ. სტუმრებს ბაზაზე არსებული მდგომარეობა მეცნიერებმა ელგუჯა თოდრიამ და ჟოკი, ოთარ ჭელიძემ გააცნეს.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დაგეგმილია სპორტულ გამაჯანსაღებელი

საცხენოსნოს კუთვნილი ტერიტორიის შემოღობვა, საჯირითო ბილიკების გაკეთება, ეწ მანეჟის მოწყობა 900 კვადრატულ მეტრზე, საშხაპების მოწყობა ცხენებისთვის, წყლის მიყვანა ბაზაზე, ამისთვის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე წყაროზე უნდა მოხდეს ტუმბოს დაყენება. ამ ეტაპზე წყალს თანამშრომლები ხელით ეზიდებიან.

ლელა საჯიამ თქვა, რომ სოფლებში მცხოვრები ბავშვებისთვის საცხენოსნო კლუბში ვიზიტი უფასო უნდა იყოს. ასევე ითქვამს, რომ ევლბან შეიძინონ სპეციალური უნაგირი შ.შ.მ. პირებისთვის.

ცნობისთვის სპორტულ გამაჯანსაღებელ საცხენოსნო ყოფილი საცხენოსნო კლუბი „მარულა“ და მას ახალი ხელმძღვანელი, ავთო მარტიკოვი ჰყავს, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს სარემონტო სამუშაოებს.

იხივეთ გაზაფხულის დღესასწაულები

ალიონი. ქალაქ ოზურგეთის მერიამ ღვაწლმოსილ ქალბატონებს 8 მარტი და გაზაფხული მიულოცა. ლამაზად დაგეგმილი ღონისძიება კიდევ უფრო გააზაფხულეს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობებს.

რესტორან "ელეგანტის" დარბაზში მხატვარ მარინა უჯმაჯურიძის ნახატებს ყვავილთა ფერები შეეხმებოდნენ. ყვავილი გადაეცა საჩუქრად ყველა სტუმარ ქალბატონს, განსაკუთრებულად ღვაწლმოსილ ფასიანი საჩუქრები და სიგელები გადაეცათ. საღვთისწაული საღამო ოზურგეთელმა მომღერლებმა დაამშვენეს. ქალაქის მერმა ბეგლარ სიორიძემ გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა წვეულ სტუმრებს და მათი შრომისა და ღვაწლისთვის გადაუხადა მადლობა. განსაკუთრებული პატივისცემა გამოუხატა ღონისძიებაზე მიწვეულ საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას დედას, მუხომეს, შვილს. საჩუქარი გადაეცა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ნატო მენაბდე, რომელიც საღამოზე თავის ვაჟთან ერთად იმყოფებოდა. ემოციები ვერ დამალა ქალბატონმა ნატომ და მადლიერება სამადლობელ სიტყვაში ჩააქსოვა. შეხვედრაზე დაანონსდა ქალთა კლუბის



შექმნის საკითხი, რომელის პირველი შეკრება ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 15 აპრილს დაიგეგმა. აღინიშნა ასევე იმ ქველმოქმედების შესახებ, რისი ინიციატივაც. ქნ ლელა თითქმის ეკუთვნის. ის დააფინანსებს ოზურგეთის სამუსიკო სკოლის სოციალურად დაუცველ ერთ მოსწავლის სწავლის საფასურს. ღონისძიება მოამზადა ქალაქის მერიის კულტურის, განათლებისა და გენდერული თანასწორობის სამსახურმა ხელმძღვანელი - მარინა ჯაფარიძე.

„ეს მე ვარ! ძალი, რომელიც...“

გაზაფხულის ერთი, თითქმის ჩვეულებრივი დღე... სარგამარტო წვეულება და საპატიო სტუმრად მიწვეული დედა, რომელიც 20 წელია ინვალიდის ეტლს მიჭაკვული ვასცქერის მომავალს - ეს მე ვარ! ძალი, რომელიც ღვთისმშობელმა შვილის სიყვარულით დამაჯილდოვა, დედობის ღირსი გამხადა და ტანჯვა ამით შემიმსუბუქა. ეს მე ვარ! ადანიანი, ვისაც არ ჰქონდა იმედი, რომ კვლავ დადგებოდა საიცარი დღე... 4 წელია, რაც ოთახიდან არ გამოვსულვარ. აქ ველოდი ჩემს განაჩეს. მაგრამ უცერად ყველაფერი შეიცვალა. უაღრესად კეთილი და გულისხმიერი ადამიანები გამოჩნდნენ ჩემი კარის ზღურბლთან. ქალაქის მერი, ბატონი

ბეგლარ სიორიძე და თამარ ღუმბაძე, სოციალური სამსახურის ხელმძღვანელი, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩემი მიძიმე ხვედრი, გადაწყვიტეს ერთი ლამაზი დღე ერთმანეთს ჩემთვის. საპატიო სტუმრად მიმიწვიეს წვეულებაზე. დიდი სიხარული მომგვარა ამ მოულოდნელობამ. დღემდე ემოციებს ვერ ვმაღავ. თავი სიხმარში მეგონა, როცა ტაშს მიკრავდნენ და მაჯილდოებდნენ. მადლობა ყველას, ვინც გამილაპაჯა ჩემი უღმბოველი ცხოვრება. სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა და ზღურბლს მიღმა არსებული რეალური სამყარო მაგრძნობინა.

ნატო მენაბდე.

„თანასწორობა“

ამთი ბოლქვაპი

9 მარტს, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებულ „ხანდაზმულთა სახლში“, რომელიც მდებარეობს დაბა ანასეულში ოზურგეთის ახალგაზრდული ცენტრის მოსწავლეებმა მოაწვევეს სკვერი, იმ ქალბატონების (ანგელინა ნიკოლაიშვილი, ლილა გელაშვილი, ვილდა დოლაძე, რუსუდან ტაკიძე) საპატივცემულოდ, რომლებსაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ანასეულის სამეცნიერო თუ განათლების კუთხით განვითარებაში.



აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიიპყრო მეზობლის როლის შემსრულებელმა ქეთი მამალაძემ თავისი მსახიობური ნიჭით.

ცენტრის წევრებს, ასევე, ჰქონდათ დამზადებული წიგნის სანიშნეები აღნიშნული ქალბატონების ისტორიებით, რომელიც გავრცელდება ანასეულის საჯარო სკოლის მოსწავლეებში. ღონისძიებაზე, ასევე, მოეწყო სპექტაკლის „თანასწორობა“ ჩვენება, რომელშიც ასახული იყო ის გენდერული სტერეოტიპები, რომლებსაც ქალები

განცხადება
სააქციო საზოგადოება „იმედი“-ს
აქციონერთა საყურადღებოდ!
 2015 წლის 25 მარტს, დღის 16 საათზე მოწვეულია სააქციო საზოგადოებს „იმედი“-ს აქციონერთა საანგარიშო კრება.
 დღის წესრიგი:
 1. გასული 2014 წლის სამეურნეო და ეკონომიკური შედეგების განხილვა და 2015 წლის პირველი კვარტლის შედეგები.
 2. 2014 წლის მოგების დივიდენდად აქციონერებზე გაცემის შესახებ.
 აქციონერთა დასწრება სავალდებულოა.
სააქციო საზოგადოების ღირამცია და სამითვალყურეო საბაჟო.

პედაგოგებს გაზაფხულის მოსკლა მიულოცეს

მარი კოძაძე

გასულ კვირას პედაგოგთა პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციის და მისი თავმჯდომარის, როზა გოგუაძის ინიციატივითა და ორგანიზებით ლამაზი ზეიმი მოეწყო. ღონისძიება, რომელიც გაზაფხულის მოსვლასა და ქალთა დღესასწაულებს ეძღვნებოდა ოზურგეთის მეორე საჯარო სკოლაში გაიმართა. თავდაპირველად მოწვეულ სტუმრებს როზა გოგუაძე მიესალმა, რვა მარტი, დედის დღე მიულოცა, შემართება და მომავალი წარმატებები უსურვა.



ღონისძიებაზე მიწვეულნი იყვნენ მრავალშვილიანი და რვა მარტს დაბადებული პედაგოგები. სტუმრებს მუსიკალური ნომრებით მიესალმნენ პირველი და მეორე საჯარო სკოლების და მუსიკალური სკოლის მოსწავლეები. პედაგოგებმა ერთმანეთს ქალთა

„სისხლიანი მიწები: ეპროკა ჰიტლერსა და სტალინს შორის“

მარი კოძაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „რადარამი“ თარგმნის და გამოცემს მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ არამხატვრულ ლიტერატურას.



მორიგი წიგნის, ტომოთი სნაიდერის, „სისხლიანი მიწები: ეპროკა ჰიტლერსა და სტალინს შორის“ პრეზენტაცია ოზურგეთში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართეს. პრეზენტაციაზე დასწრება თავისუფალი იყო. აღსანიშნავია, რომ ყველა სტუმარს წიგნი საჩუქრად გადაეცა.

ინტერესების გათვალისწინებით. „რადარამის“ მიზანია ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსოფლიო ბესტსელერები. წიგნების თარგმნა და გამოცემა შემოწირულობებითა და ფონდების მხარდაჭერით ხერხდება. გამოცემული წიგნების ღირებულება მხოლოდ ორი ლარია.

წიგნის ავტორი, ტომოთი სნაიდერი, ამერიკელი ისტორიკოსი, იელის უნივერსიტეტის პროფესორია. ის იმ ოცწლიან პერიოდს იკვლევს, როდესაც ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის სისტემას თითხმები მილიონი ადამიანი შეეწირა.

„რადარამის“ წიგნებს არჩევს საერთაშორისო საბჭო. წიგნებს სამი ძირითადი კრიტერიუმით არჩევენ: თანამედროვეობის, გლობალური მნიშვნელობისა და მკითხველის

წერილი ზოტიდან მგლებს სოფელი ძალზე დააზარალა

არ ვიცი, ვისი ინიციატივა იყო მგლების საქართველოში შემოყვანა, მაგრამ დედაბუნება რომ ძალზე დააზარალა და მოსახლეობასაც რომ დიდ ზიანს აყენებს, ფაქტია.



ნაბორი მიქელაძე

აჭარა-გურუის მთების მშვენება იყო შვედი და არჩვი. კავკასიური მგლის ნადირობის წესი, არ იწვევდა მათ განადგურებას. ისინი არჩვის არევის თუ შველს მხოლოდ დაუძლეველს მოინადირებდნენ და ბუნების სანიტრის როლს ასრულებდნენ. მაგრამ შემოყვანილმა მგლებმა ტყის ბინადარნიც გაანადგურა და შინაურ პირუტყვსაც მუსრი გაავლო.

ცხოვრობს, რომელთაგან ყველას ჰყავდა 10-15 სული თხა, ბევრს ცხვარიც, მაგრამ დღეს ზოტში თხას და ცხვარს ვეღარ შეხვედებით, რადგან ისინი მგლებმა გაანადგურეს. ზაფხულის დროს, მთაში მყოფ პირუტყვს ესხმან თავს, ზამთრობით კი სოფელში. კანონით დაშინებული მონადირეები სოფელში თავდასხმისას ვერ ბუღავენ მტაცებლების მოკვლას. მწვემსები სოფლის საძოვრებზე მხოლოდ კომპლებით არიან შეიარაღებული.

ორიოდ სიტყვით დათვის შესახებაც მინდა ვითხრა. იგი ბუნებაში მის ბელებთან ერთად ძალიან ლამაზია და ტყის მშვენებაა, მაგრამ თუ პირუტყვი ჩაუვარდა ხელთ, საშინელებაა. თანაც საუკეთესო პირუტყვს არჩევს. ეს კი მოქმედებს თითოეული ოჯახის ეკონომიკაზე. დათვის ძალიან უყვარს თაფლი, თხილი და არაერთ ოჯახს გაუნადგურა ფუტკარი, თხილის პლანტაცია, სიმინდის ნათესები. სოფ. ზოტში 200 კომლი

როგორც სოფელი და ამ ჭირ-გამოვლილი შემთხვევაში წამლის გამოწერა პარლამენტს მივანდლოთ. წლებადღეული წელი ცხვრის (თხის) წელია და ვთხოვთ პარლამენტარებს, დაიცვან მათი უფლებები. დაგვეხმარონ, მიიღონ ისეთი კანონი, რომლითაც შესაძლებელი იქნება მოსახლეობისადმი ზიანის მომტანი მტაცებელი ცხოველების ამოღება (მოკვლა). ეს კი გამოცდილ მონადირეთა ჯგუფებს შეუძლია.

ნაბორი მიქელაძე, სოფ. ზოტი.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალზინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“



გერმანელი მეცნიერი იოჰან გუტენბერგი (1400-1468)

1450 წელს ააწყო საბეჭდი პრესი მოძრავი შრიფტით. აღმოჩენა, რომელიც მეცნიერების ისტორიაში თავისი გავლენით ციფრული სისტემის შემოღებას უტოლდება. თავისი აღმოჩენით მან გამოიწვია რევოლუციური პროგრესი ევროპაში და აკადემიურ წრეებს საშუალება მისცა ფართოდ და იაფად გაეცნობინათ სამეცნიერო აზრი.



ლეონარდო და ვინჩი (1452-1519)

ტერმინი „აღორძინების ეპოქის“

ადამიანი“ სპეციალურად ლეონარდოსთვისაა მოგონილი. მან შექმნა წყლის ბორბლებისა და წყლით მოძრავი მოწყობილობების უამრავი ესკიზი. შეადგინა ტენიანობის საზომი ხელსაწყო სქემა და პრიმიტიული ჩასაყვინთი კოსტუმები სასუნთქი მოწყობილობით. 1482-1499 წლებში ლეონარდომ შექმნა მთელი რიგი სამხედრო დანიშნულების კატაპულტებისა და სხვა სასროლი მანქანების პროექტები. შეადგინა იარაღის ესკიზები, რომლებმაც გაუსწრო დროს. მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ხელფეხმარა, მორტირები (მოკლელულიანი ქვემეხი, ტყვიამურქვევის მსგავსი იარაღი, პრიმიტიული ტანკი და ცეცხლზე გაბედული გამოგონება - წყალქვეშა ნავი. ამ საის შეგვიძლია დავუმატოთ ველოსიპედიც. ლეონარდო ხომ პირველი ადამიანი იყო, რომელმაც ველოსიპედის პირველი ნახაზი შექმნა.



ნიკოლოზ კოპერნიკი (1473 - 1543)

მას ეკუთვნის მცდარი, მაგრამ იმ დროისთვის უარესად დიდი აღმოჩენა. რაც მდგომარეობს იმაში, რომ თითქოს

მზე წარმოადგენს ცენტრს და მის გარშემო მოძრაობენ პლანეტები. ბედის ირონიაა, რომ მისი ავტორი კოპერნიკი სასულიერო პირი იყო. თუმცა ამით იგი დაუპირისპირდა პტოლემეუსის მიერ აღიარებულ გეოცენტრულ მოდელს. კოპერნიკმა კარგად გამოიყენა კელესია კელევისათვის. როცა სამრეკლოდან აკვირდებოდა ვარსკვლავებს, მან წამოაყენა იდეა, რომ დედამიწა თავის მხრივ არ იყო ერთ ადგილზე გაჩერებული, არამედ ბრუნავდა თავისი ღერძის გარშემო 24 საათის განმავლობაში. ეს იდეა ასევე ხსნიდა ვარსკვლავებისა და მზის მოძრაობას ცაზე. 1609 წელს იოჰან კეპლერმა წარმოადგინა დასკვნა, რომლის მიხედვით პლანეტები მოძრაობენ არა წრიულად, არამედ ელიფსურად და სიმარტივე, რასაც კოპერნიკი ეძებდა, მიღწეულ იქნა. მისი მოდელი კი ნაწილობრივ შენარჩუნდა.



ანდრეას ვესალიუსი (1514 - 1514)

ბელგიელი მეცნიერი. 1543 წელს გამოაქვეყნა ზუსტი სამედიცინო წიგნი

„ადამიანის სხეულის სტრუქტურა.“1543 წელს მიიღეს ჰაბსბურგების სამეფო კარზე, სადაც მსახურობდა იმპერატორის - კარლოს V-ისა და ფილიპე II-ის ექიმად. გარდაიცვალა -50 წლის ასაკში წმინდა მიწის მოსალოცად მგზავრობის დროს. ნადრევი სიკვდილის მოუხდავად ვესალიუსმა სტუდენტებისთვის ანატომიაში რევოლუციური მემკვიდრეობა დატოვა (ადამიანის გაკვეთის პრაქტიკულ მეცადინეობებში).



ფრანსის ბეკონი (1561- 1621)

ინგლისელი მეცნიერი 1607 წელს შოტლანდიის მეფე ჯეიმს I-ის მრჩველი გახდა, ხოლო 1603 წელს გენერალურ პროკურორად დაინიშნა. ბეკონი ამტკიცებდა, რომ მეცნიერებაში სწორი მეთოდი ექსპერიმენტირებაა. მისმა ნაშრომებმა დიდი გავლენა იქონია მეცნიერების მომავალზე. XVIII საუკუნის მეცნიერულმა რევოლუციამ აღიარება პოვა და მისი მიღწევები დღემდე ახდენს გავლენას.

(გარბელება იქნება) მოამზად გურამ ცმრცვაძემ.

დებატები „პედაგოგთა კავშირში“

მარი კოპოიანი



2015 წლის 13 მარტს „ახალ-გაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ბაზაზე არსებული ლიდერთა სკოლის დებატ კლუბის წევრებმა შემაჯამებელი დებატი გამართეს რეზოლუციაზე: „საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციას“.

მნიშვნელოვანია, რომ ლიდერთა სკოლის გასული ტრიმესტრის თემა მრავალფეროვნება გახლდათ. ლიდერთა სკოლელთა სასწავლო სიღაბუსი ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების საკითხებს მოიცავდა.

ასევე მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს ზამთრის „თემატურ სკოლაში“, რომელშიც ლექციებს მოწვეული ექსპერტები კითხულობდნენ.

კარლ პოპერის დებატ კლუბმა აღნიშნულ თემაზე უკვე ჩაატარა საჩვენებელი დებატები ოზურგეთის საჯარო სკოლებში.რითაც თემის პოპულარიზაციის გარდა, მოხდა დებატების, როგორც ერთ-ერთი მეთოდის დასაბუთება.

აღნიშნულ დებატებში მონაწილეობდა გასული თამაშების საუკეთესო მოდებატები.

ერთი ოჯახის ცეცხლმსროლელი იარაღები

გვიან შუა საუკუნეებში, საქართველოს განაპირა მხარე გურიას თითქმის ყოველდღე საგარეო საფრთხე ელოდა. ამიტომ ყოველი ოჯახი შეძლებისამებრ შეიარაღებული გახლდათ. ადრე ცივი იარაღებით, ხოლო შემდეგ ცეცხლმსროლელი იარაღიც შეემატა.

კარგახანს ოსმალეთი ძალიან აბრკოლებდა თოფ-ზარბაზნის შემოღებას საქართველოში, მაგრამ საუკუნეთა შემდეგ ამ იარაღებმა მინც გაიკაფეს გზა ჩვენი ქვეყნისკენ და ბევრი ოჯახის კარი შეაღო თოფმადრე თოფი ჩვენში დასავლეთიდან შემოდიდა. შემდეგ თვით ქართველებმა ისწავლეს თოფის კეთება (მიჭიხანის ცენტრი).

ადგილობრივი თოფები ასეთი სახელების გახლდათ: „მაჭახალა“, „ნალფარა“, „ჩაქალოზი.“

პირველი და მეორე თოფ გურიის 1841 წლის აჯანყების დროინდელ ხალხურ ლექსშიც იხსენიება:

ჩვენსკენ მოდიან ვაჭრები ოსმან ალა და ხასანა, კარგა თოფები მოაქვენ მაჭახალა და ნალფარა. იმავე მიჭიხანური თოფის ქარხნიდან მოდიოდა ჩაქალოზიც, რომელიც ჩაქალოლის სახეცაველი ფორმაა.

ჩვენს ოჯახში, (სოფ. გოგოლესუბანი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) კონსტანტინეპოლის ფოლთაც იყო დაცული და მან ჩემს ახალგაზრდობამდე (დავიბადე 1926 წლის 24 მაისს) მოაღწია. ეს თოფი ბაბუაჩემის მამას (ისააკ სიხარულიძეს, - 1829-1918წწ) სჭერია ხელში.

ბაბუაჩემის (აქესენტი სიხარულიძე, 1842-1932) დროს ჩვენმა ოჯახმა ცოტა წინ წაიწია ეკონომიურად და



ბაბუასაც ისეთი თავმოსაწონებელი თოფიც კი შეუქმნია, როგორც ბერდენა გახლდათ.

გადმოცემით, ამ თოფით და სმიტ-ვენსონის რევოლვრის შეიარაღებული მონაწილეობდა თურმე იგი „ახალი დიდგორის“(ნასაკირალის ეპოპეა) 1905 წლის ოქტომბერში.

„ახალი დიდგორის“ გმირები უმთავრესად საჩიბე თოფებით იყვნენ შეიარაღებული, ბერდენას თოფი იქ იშვიათად ჩანდა. ასევე იშვიათი იყვნენ ნადიანი მებრძოლებიც. კავკასის ძვრადიღირებული ახალი ნაბადი მხოლოდ ასიკო სიხარულიძეს ამშვენებდა თურმე.

„ახალი დიდგორი“(ნასაკირალი, 1905) გამორჩეული ისტორიული მთვლენა გახლდათ და მისი მივიწყება დასანანია.

ჩვენს ოჯახში ინახებოდა კიდევ ერთი თოფი, რომელიც პირველი რევოლუციის ჟამს შემოიტანეს საზღვარგარეთიდან. გურიისში მას „თხმელის თოფს“ უწოდებდნენ.

ჩოხატაურში ის ანდრია გოგოლაძის ლუქანში ინახებოდა. ერთი ცალი ბაბუა ავქსენტისაც რეგია. ბაბუას არ ჰქონდა ეს თოფი, რადგან ბერდენა ჰქონდა, მაგრამ ინტერესის გამო, თუ როგორი იყო ეს თოფი, ამიტომ წამოვიღე.

საჩიბე თოფები სხვაც რამდენიმე იყო შემორჩენილი ჩემს ბავშვობაში. როდესაც წამოვიზარდე ერთი ახალი თოფი (28 კალიბრა) მეც შევიძინე და მეზობლის გაუთან (ავთანდილ სიხარულიძე - დაბ. 1924 წ. ერთად ერთხელ სანადიროთაც გახლდათ საქარას მთაზე.

ეს იყო და ეს. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, მოსახლეობიდან თითქმის ყველა თოფი ამოიღეს და წაიღეს. მათ შორის იყო ჩემი თოფიც.

ამის შემდეგ ჩემს ოჯახში თოფი აღარავინ უნახავს. **იური სიხარულიძე,** პროფესორი.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები

თხილის დარგვა

თხილი არ საჭიროებს განსაკუთრებულ ნიადაგურ პირობებს, შეიძლება კარგად იხაროს დაკორდებულ ნიადაგზეც, თუმცა დადებითად რეაგირებს მიწის დამუშავებაზე. თხილის ნარგავები ძირითადად შემოდგომაზე მოიხენება, ნიადაგის ზედაპირი სუფთად რომ შეინარჩუნოთ საჭიროა 4-5 ჯერ გაუფხვიეროთ.

ნიადაგის საშემოდგომო დამუშავება ხდება 15-18 სმ სიღრმეზე, ხოლო გაფხვიერება ვეგეტაციის დროს 10-12 სმ-ზე.

თხილის დასარგავად გამოყოფილ ნაკვეთს გადახნავენ, მოასწორებენ, ყოფენ კვარტლებად და დავემავენ, თხრიან 30/30/30 სმ-ის სარგავ ორმოებს. თხილის დარგვა ხდება როგია შორის 4-5 მეტრის მანძილზე და როგია მცენარეთა შორის 3-4 მეტრის მოშორებით, უფრო ნაყოფიერ ნიადაგებზე დაცილება შეიძლება მეტიც იყოს.

თხილის სარგავ მასალას უნდა ჰქონდეს, კარგად განვითარებული ფესვთა სისტემა. დარგვის წინ გულდასმით გათვალისწინებულ ნერგებს ფესვთა სისტემას და ჯანსაღ ადგილამდე ვჭრით დაზიანებულ ფესვებს. ფესვთა სისტემის ძლიერი სხვა მანქანულია. ნერგის ფესვთა სისტემა უნდა მოეთავსოს იმ გათვლით რომ, მიწის ჩაყრის შემდეგ ნერგი 3-4 სმ-ით ღრმად ჩაყდეს მიწაში, ვიდრე სანერგეში იყო.

დარგვა უზეცხველია ორმა ადამიანმა მოახდინოს, ერთს ნერგი უკავია და ფესვთა სისტემას ასწორებს, ხოლო მეორე აყრის ფხვიერ და ტენიან მიწას, რომელსაც მსუბუქად ტყენის ფხვით. დარგული მცენარის ახლოს მიწისგან ფოსოს აკეთებენ, დარგვისთანავე ფოსოში 20 ლიტრამდე წყალს ასხავენ. ვინაიდან ეს მთლიან საქმიან პროდუქტებია, მორწყვა შეიძლება ჩვეულებრივად (ფოსოს გარეშე, როგორც სხვა ნერგების დარგვისას).

თხილისთვის ისევე როგორც ხეხილის სხვა ჯიშებისთვის, სარგავად ყველაზე კარგი შესაფერისი დრო შემოდგომაა, საგანაგებო რევისას ნერგების უმრავლესობა ვერ



სარობს. ყლორტებს არ ამოკლებენ, თხილი მსხმოიარობს ერთწლიანი ნაზრდით, ამიტომ ისე უნდა გავსხლათ რომ, ყოველწლიურად ახალი ძლიერი ნაზრდი მივიღოთ და ამრიგად კარგეულირებთ მსხმოიარობასაც.

ადრეულ პერიოდში გასხვლის შედეგად ვჭმით ბუჭის ჩონჩხს, რომელიც ღარნაკს წააგვს. ბუჭის შიდა ნაწილი მეტისმეტად არ უნდა გავსხმოთ. დარგვის მესამე წელს თხილის ბუჭი მსხმოიარობს, შემდეგი სხვლით უმთავრესად ბუჭის შიდა ნაწილს გაუმჩნეობს და ხელს გადატვიხილ ტოტებსაც მოვაცილებს.

თხილის ზოგიერთი ჯიშში უხვად ქნის ფესვთა ამონაყარს, რაც ბუჭის ფიტავს და მოსავლიანობას ამცირებს. ასეთ შემთხვევაში ფესვის ამონაყარის ნაწილი უნდა მოგაშროთ ადრეულ პერიოდში, როდესაც ამონაყარი ნიადაგის ზედაპირიდან 5-8 სმ-მდე ამოსულია.

ნიადაგის ზედაპირზე მათ მოჭრას არ მოჰყვება ამონაყარის შემცირება, პირიქით უკუპროცესიც შეიძლება, ვინაიდან ამონაყარი გასხვლა იწვევს მის განტოტვას, ამიტომ ამონაყარის ეფექტური მოცილებისთვის საჭიროა ყოველი ყლორტის ირგვლივ მიწა ამოთხაროთ და იგი ძირში მოჭრათ სეკატორით. გასხვლა ხდება ადრე ვაზაფხულზე.

მოყვარული მეფუტკრეების დასახმარებლად

გაზაფხული მეფუტკრეობის საპასუხისმგებლო პერიოდი

ყველაზე სერიოზული სამუშაოები მეფუტკრეს აქვს გაზაფხულზე, რაც დიდ გავლენას ახდენს ფუტკრის განვითარებასა და პროდუქტიულობაზე მთელი სეზონის განმავლობაში.

ფუტკრის ოჯახის საგაზაფხულო შემოწმების დროს ძირითადი ყურადღება ექცევა თაფლისა და ჭვოს რაოდენობას, საკვების ხარისხს, კვერცხდებლობას, დედა ფუტკრის არსებობას და მის ხარისხს, ფუტკრის რაოდენობას და ა.შ.

მეფუტკრე, რომელიც ოჯახს უტოვებს საჭირო რაოდენობის თაფლს, მას ნაკლებად უხდება ფუტკრის ოჯახის ხელოვნური კვება. მიუხედავად, როდესაც მეფუტკრე ფუტკრის ოჯახს საკუთარი მიზნისთვის საჭიროზე ნაკლები თაფლის რაოდენობას უტოვებს გამოზამთრებისთვის, იმ იმედით, რომ ამ დანაკლისს ფუტკარს ხელოვნური საკვებით შეუცვლის, რაც არასწორია.

გო საკვების ნაკლებობას, ან საადრეო სტიმულირებისათვის. კანდით კვება არ იწვევს ცივ ამინდებში ფუტკრის გამოფრენას, გაღიზიანებას. ფუტკრისთვის ცომისებრი საკვების (კანდის) მიცემის წინ სასურველია ის მოთავსდეს თბილ ადგილას 8-10 საათით ადრე. მისაცემი ულუფის რაოდენობა დამოკიდებულია ფუტკრის ოჯახის სიძლეურზე.

როგორ მოვამზადოთ ფუტკრის ხელოვნური საკვები-სიროფი. იგი თაფლისა და წყლის ნარევიტ მზადდება. წყალი წინასწარ უნდა ავადულოთ, გაგაგრილოთ და 1 ლიტრ წყალზე უნდა დაეუმატოთ 1 კგ. თაფლი. შემდეგ მომზადებული სიროფი უნდა გაცხელდეს 60-70 გრადუს ტემპერატურამდე (სიროფს ესაჭიროება განუწყვეტელი მორევა).

შაქრის სიროფის მომზადებისას, წყლისა და შაქრის რაოდენობის პროპორციულად იცვლება წლის პერიოდთან დაკავშირებით; გაზაფხულზე მზადდება სიროფი პროპორციით 1:1; ხოლო შემოდგომაზე - 3:2 (3კგ. შაქარი, 2 ლიტრი წყალი). ფუტკარს გაზაფხულზე უნდა მიეცეს 25-30 გრადუსი ტემპერატურის სიროფი გასაღიზიანებლად. კვების დროს შაქრის სიროფთან ერთად პროფილაქტიკის მიზნით უნდა მიეცეს სამკურნალო პრეპარატები (ოქსიტეტრაციკლინი, ტერამიცილი, სტრეპტომიცილი, ბაქტოციგი, ნორსუფაზოლნატრი და ა.შ.)

თუ საფუტკრე წინა წლებში, არაკეთილსაიმედოდ ითვლებოდა ამერიკული და ევროპული სიდამპლემების მიმართ, მეფუტკრემ ასეთი საეჭვო ოჯახები განსაკუთრებულ აღრიცხვაზე უნდა აიყვანოს, განაცალკევონ და შემოწმების შედეგად დასმული დიაგნოზის მიხედვით უნდა გაატაროს გამოკვლევილ დაავადებებთან ბრძოლის ინსტრუქციით გათვალისწინებული ღონისძიებები.

უჩვეულო თბილი იყო წლებიდან დასრული, ვიდრე გაზაფხილი, რამაც გამოიწვია ფუტკრის ოჯახებში კვერცხდებლობა, ფუტკრის ახალი თაობის გამოყვანა, რაც სამარავო საკვების ხარჯვასთანაა დაკავშირებული. ამიტომ, მეფუტკრემ დროულად უნდა იზრუნოს საკვები მარაგის მისაცემად.

ფუტკრის ოჯახის შაქრის სიროფით კვების დროს უნდა გამოვიჩინოთ განსაკუთრებული სიფრთხილე, რათა უღალაო პერიოდში არ მოხდეს ქურდობა, ურთიერთთავდასხმა, რისი გამოსწორებაც შედეგში დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. კვება უმჯობესია ვაწარმოოთ სადამოხანს წინასწარ მომზადებულ ოჯახებში, სუსტ ოჯახებს დაუპატარავოთ საფრენი, დაუპაქტოთ სკის დაზიანებული ადგილები.

სუსტი ოჯახებიდან ვიღებთ ზედმეტ ფიჭებს. ვტოვებთ იმდენს, რამდენსაც ფარავს ფუტკარი. ვუდგამთ ტიხარს და ვათბუნებთ. უდელი, სუსტ ოჯახს ვაერთებთ მეორე სუსტ, დედიან

ოჯახთან. დედას ვაქცევთ ზუფის ქვეშ ან ვაძლევთ გალიით.

გაზაფხულზე ფუტკრის ოჯახში ბუდის გაფართოება ხდება ეტაპობრივად, ოჯახის სიძლიერის მიხედვით. უეცრად ბუდის გაშლათილ ამინდში და შემდგომ ტემპერატურის დაცემის შემთხვევაში, გამოიწვევს ბარტყის გაციებას, რაც ხშირი მოვლენაა გაზაფხულის პერიოდში. ოჯახები სუსტდება და თავს იჩენს სხვადასხვა გართულებები. გაზაფხულზე, როცა გარემო ტემპერატურა 10 გრადუსს ზემოთ იქნება, შესაძლებელია ფუტკრის ოჯახები ვარვართოზის საწინაარმდეგოდ დავაუშაოთ, შემდეგი პრეპარატებით ვარაკომი, მავრიკი, სამჯერადი დამუშავებით 5-7 დღის ინტერვალით. ასევე ვარასტოპი ახალი პრეპარატი (ფირფიტის სახით) ჩაეკიდება ფუტკრის ოჯახში სიძლიერის და მიხედვით, 30-35 დღით, იძლევა კარგ შედეგს.

საფუტკრეში საგაზაფხულო სამუშაოების წესიერად და დროულად გატარებული ღონისძიება გარანტიას თქვნი ფუტკრის ოჯახების სიჯანსაღისა, მაღალი პროდუქტიულობით, მომზადებული შევხვედეს მთავარ ღალიანობას.

ჯანმრედი ცმცხლაამ,
გურიის მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარე,
ტელ: 599 21 43 44 555 17 34 02

სკანვორდი

სკანვორდი გეგმა, რომელიც შეიცავს პორტრეტს და სკანვორდის პასუხებს. გეგმაში არის სკანვორდის პასუხები, რომლებიც დაკავშირებულია სკანვორდის პასუხებთან.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე - შტეფან ცვაიგი, ხშირი ტყე - ტყერი; პატარა ყვავილი - ია; სასმისი - ჭინჭილა; პომიდვრით სახელგანთქმული სოფელი - ჭობორტი; საპურო ტრანსპორტის ვაგზალი - აეროპორტი; ნაბიჯი ცეკვაში - პა; პატრა ზღვა - ტბა; ალიო მირცხულაგას ფსევდონიმი - ბუმერანგი; შეიარაღებული კონფლიქტი - ომი; ხელოვნური ტბა - ტბორი; მეფის წყლის მწე - აბდარი; საბრძოლო იარაღი - ბუმერანგი; ქალის და მდინარის სახელი - ნია; ზეინა დილობაში მამლუქიდან - მაჰმუდი; ტურგენივის ნაწარმოები - მუჰუ; ცხენაკი - კინტაური; შინაური ფრინველი - ციკარი; სპილენძი - რვალი; ქალის სახელი - თო; დაღესტნური საკრავი - კინცერტინა; შშვლდის ვახა - ისარი; სასაკლავო - ბინი; თვე - ნოემბერი; ნაცია - ერი; თეთრი კრისტალური ნივთიერება - მარილი; ფრინველთა წრიული ფრენა - ირაი; წელიწადის მეთორმეტედი - თვე; ნაცვალსახელი - ის; ალიგატორი - ნიანგი; ისლანდიის საკონსტიტუციო ორგანო - ალიინგი; შწვავე ინფექციური დაავადება - მაღარია; შრიფტის ზომბ - კვეელი; მეფის დატყვევება - შამათი; ფეხსაცმლის დამზარე - მაშველი; კომპიუტერული თამაში - მარი; კაცის სახელი - ესე; ნოტი - მი; ამყავებული ღვინო - ღვინო.

ნიკოლოზ ნიკოს ძე მეს უზლა

ყანის ნაღურიდან ტყეში გაჭრილი ფირალი...

მეგობრებო

დასაწყისი იხ. ალიონი №10 2015 წ.

ამავე შემადგენლობაში ირიცხებოდნენ მეხუზლათა გვარსახელისანი: ნიკოს წინაპრები, თავად ნიკო და მისი ამბოხი ძე-ნიკოლოზ მეხუზლა. ნიკოლოზ მეხუზლა წუნობდა გლეხურ ჩამომავლობას. ვერ ჰკუბოდა მორჩილებას, და ერთ ადგილზე დგომას. ბუნებით მოძრავი და სულსწრაფი. სოფლიდან გასული ოზურგეთს ჩავიდა და ერთხანს იქაურ ვაჭრებს მიეკვლია, „ხელზე მომსამსახურის როლი როდი იკმარა. „პრიკაშიკად“ დააყენეს. სარფიანი საქმე იყო. გულდადებით მუშაობას ითხოვდა. მცირეოდენი ხნის შემდეგ იუკადრისა „პრიკაშიკის“ თანამდებობა. პირდაპირ „სოფლაგრობას“ აბავინ მიანდობდა. ხელგაშლილი ცხოვრება დაიწყო. მოგებაზე მეტი „ვალები“ დარჩა. ოზურგეთიდან პირდაპირ ბათუმში იშვირა ფეხი. „ცაი და ქვეყანა“ ოზურგეთის მაზრიდან მამინ ბათუმში მიემუშავებდა „ხელზე ფულის საშოვნელად“ 1865 წელს მსხვილი მრეწველის „ქვეყნის მფლობელის“ - მანთაშვიის მიერ დაარსებულ „ზავოდში“ სამუშაოდ. ერთხანს იმუშავა „კაპიტალიზმის არტაგებში“ ჩამწვედელუ ზავოდში, მაგრამ მალე შეატყა: „მანთაშვითან ყოფნას ისევ ოზურგეთის ვაჭრებთან „პრიკაშიკობა“ სჯობდა, მაგრამ „საოზურგეთო გზა“ გადაკეტილი იყო და ვაჭრებთან აღარ მივსვლავოდა. რა უნდა ექნა, ყანაში მუშაობა და თოხის ბაყუნი კატორღელის წილხვედრად მიანდა. ჩნდებოდა და ისახებოდა „მესამე გზა“. საინტერესო, რისკიანი, სარფიანი, ეს გზა შეკვეთილის წმინდა ნიკოლოზის საგუმავოსკენ მიემართებოდა. ამ საკარანტინო გზით დიდძალი კონტრაბანდული საქონელი შემოდიოდა გურიაში. ნიკოლოზ მეხუზლა აქტიურად ჩაება ამ საქმიანობაში. მასზე შეთხზული ფრთიანი ლექსი მშვენივრად ასახავს მას: „კონტრაბანდობას ვეჩვიე ცოტ-ცოტა გეახელია“. მეხუზლა ფირალად იყო დაბადებული და ვეღარც კონტრაბანდისტობა იგუა, მიატოვა „აი შავი საქმე“ და სოფელში დაბრუნდა. ნიკოლოზ მეხუზლას ამ დროისათვის

ცოლშვილი ყავდა და მისი მღვთმარეობა უკვე მკვიდრ და ბინადარ ცხოვრებაზე დაფუძნებას ითხოვდა. გურიანთლებმა ყანის სამარგელში დააბატიყეს. ვისაც უნდა ემარგლა და ნაღურიც უნდა „გეეხმო“. ნაღურის განმობა თოფ იარაღზე ნაკლებად არ უყვარდა. შესანიშნავი მოძახილი იცოდა. ნიკოლოზ მეხუზლას გაფირალეების წინარე პერიოდში გურიანთის მკვიდრნი ყანაში თოხის მუშაობით ირჩენდნენ თავს და დიდძალ მოსავალსაც იღებდნენ. ყანის მარგლა და თოხნა ნაღვიღ „სახალისო ოლიმპიადას“ წარმოადგენდა და არა ისეთ საშინელებას, როგორც ამას შემდეგში მარქსიზმის მეხობტენი ასახიერებდნენ. ყანის მარგლა თუ თოხნა, ყანური სიმღერის, ანუ ამავე „ნაღურის“ გარეშე წარმოუდგენელი იყო. ნაღი და ნაღური სიმღერა იყო მუშურ-გლეხური გართობა, მეჯლისი, გლეხური ბანკეტი და გაზაფხულის მიგებებასთან დაკავშირებული შრომისა და გამარჯვების ჰიმნით. ნაღში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. დგაბზეულ დათუნაშვილს ყანის მარგლაში 300 კაცი ეხმარებოდა. მათი „ნაღური“ ოთხი კილომეტრის მანძილზე ისმოდა. ნიკოლოზ მეხუზლას საკვიდრო ქვეყანა-გურიანთა „ნაღურის“ განსაკუთრებული სახეობით „გურიანთულით“ იყო ცნობილი. ნიკოლოზის გაფირალეების წინ გურიანთაში 430 600 ფუთი მოსავალი იქნა მოწეული. აქედან სიმინდი - 399870 ფუთი-ლომის მარცვალი 7600 ფუთი ლობიო-24000 ფუთი. ზოგიერთი გლეხის კალო 400 გოდრით განისაზღვრებოდა. გოდორში „ფუთნახევარი“ 24 კგ. ჩადიოდა. თუ ზემოაღნიშნულს გაითვალისწინებთ, გურიანთელ გლეხს შიმშილის განცდა არასოდეს ჰქონია. წელში შრომით არასოდეს გაწყვეტილა. მას არც საფირალოდ ჰქონდა საქმე და არც საყაჩაღოდ-გლეხის კალოს რჩევაზე აზნაურებიც იღებდნენ მონაწილეობას, ვახშამიც შესადარი იცოდნენ. ყალიოთი მოხარული და შემწვარი დედლები, საკრეფ-

სატეხისათვის საგანგებოდ გამოზრდილნი. მარლწყალში მოხარული ბურგაკის ხორცი, ძროხის მოსათალი ბეჭი, სათბილო გვალუშა, ჩალაღვი საწებლით, ძაღვ ყარათი, ბროწეულის წვენი-ვინც მიირთმევედა მადის გასადვიებლად, იმასაც სთავაზობდნენ. ცხადია ღვინოც არ აკლდათ. ზოგს უკვე ჰქონდა საადრეო სამაჭრე ყურძნიდან დაყენებული მაჭარიც. თამადას ირჩევდნენ. სმა-ჭამა შეხარხოშებადვე გრძელდებოდა. სუფრაზე იყო მოლხენა-სიმღერა, ქალ-ვაჭების ცეკვა, ზოგჯერ თოფის სროლაც. 3503. გაზაფხულის გაელვების ერთმშვენიერ დღეს ნიკოლოზ მეხუზლა ყანის სამარგელში დააბატიყეს. კონტრაბანდის შემოტანის საქმიზა თავი „ახალი განებებული ქონდა“. ტრაპიზონში იყო. აკრძალული საქონელი შემოქონდა. შეკვეთილის კარანტინთან შებაყებმა შეიპყრეს, გურიანი სასჯელი ემუქრებოდა, დამჭირავებს გამეჭკვა. თავი სოფელს შეაფარა. თათრული ენაც იცოდა. ბათუმში ისწავლა. მანთაშვიის ზავოდში. თანდათან რომ „პრიკაშიკად“ იდგა მამინ, მაგრამ ყანის „მარგლაში არ გამოადგა. აქ მარტო მუყაითობა იყო საჭირო. მეყაითებმა ნიკოლოზს უთხრეს: „ნიკოლოზავ ჩვენ ნაღურის სიმღერას დავიწყებთ და შენ გეუხმეო“, დაიწყეს მარგლა „ნაღურთან“ ერთად და ნიკოლოზმაც „გოუხმო“. დიდებული მოძახილი ქონდა. მერე შეისვენეს. შესვენების მერე უფრო შეეზარა ყანა. როგორც გადმოგვცემენ: წელში მოხარა. თავი ფეხებში გაყო და ისე გაუხედა სამარგალს. თავდაღმა გამხედავარეს სამარგელი ყანა ორი იმხელა მოეჩვენა, მერე თავი გამეილო ფეხებიდან და თოხის პირს დახედა. „დამტკავლა“. თოხი ნამეტარი ეპატარავა და ყანა კიდევ უფრო ედიდა. მთელი გურიანთის საბოქალაქო გლეხობიდან რომელიც 20 ათასზე მეტ კაცს მოითვლიდა, ამ ერთმა ნიკოლოზ მეხუზლამ გამოხატა პროტესტი, პატარა თოხით დიდი ყანის სამარგელში მუშაობაზე. თოხი „ჯირეკზე“ (ჯიკეზე) გადააშრალა, მეყანეებს დაემშვიდობა და გულარხ-



ნიკოლოზ მეს უზლა და სისონა დარჩია

ენად გაუყვა ტყისკენ. ასე გაფირალდა ნიკოლოზ ნიკოს ძე მეხუზლა. მისი ფირალობის ზეობა 1888 წლიდან იწყება. დიდხანს არც ფირალობა დასცალდა. 4 წელი იყო ტყედ გავარდნილი, ბოლოს ოზურგეთის რაიონის სოფელ უჩხუბში შეიმწყვდია პოლიციამ. ნიკოლოზ მეხუზლას ოთხწლიან საფირალო მონაკვეთში მისი რაიმე საგმირო ეპიზოდი კონკრეტული არსად არ გვხვდება. არც ფოსტაზე დაცემა, არც ვაჭრების გაძარცვა, არც სტრაფებთან ჩასაფრება მის საგმირო ეპოსში მიმდუმარებულია. პოლიციის ბოქაულის თანაშემწე მეგლაძე და ოზურგეთის დრუჟინის ოფიცერი გარდაფხაძე გამოყო მაზრის ადმინისტრაციამ მეხუზლას წინააღმდეგ საბრძოლველად და ყანის „ნაღურიდან“ ტყეში გავარდნილ ფირალის მოსაბორკავად. 1892 წლის 15 იანვარს, ორ ნაწილად გაყოფილი გარდაფხადისა და მეგლაძის ჯგუფი ნიკოლოზ მეხუზლას შესაპრობლად დაიძრა. „დანოსი“ იყო მიტანილი. მეხუზლა ან დგაბზეუს საზოგადოების სოფელ მეღეჭეღურში აფარებს თავს და ან ბახვის საზოგადოების სოფელ უჩხუბში. გარდაფხაძემ სოფელ უჩხუბში დალანდა მეხუზლას კვალი ადგილობრი გლეხის დათა მაუჭაძის ოჯახში. მასთან ერთად იმყოფებოდა მისივე ამხანაგი ყანალი დათუნაშვილი, გარდაფხადის პოლიციამ ალყა შემოარტყა დათულიე მაუჭაძის სახლს. მალე მას

მეგლაძის რაზმი შემოუერთდა. ფირალებს იარაღის დაყრა და დანებება მოსთხოვეს. მეხუზლა მოულოდნელად გამოვარდა გარეთ. მისი თოფის გრიალმა ორი მომხვედრი იმსხვერპლა-ერთი მენაბდე და შაფაქიძე. ორი დარაჯიც - „ზემსაკაია სტრაფაც“ ზედ მიაყოლა. ჯარისკაცი მეჭეპბი-იშვილი „ფულიზა რომ ირჯებოდა“ და წინდაწინ მიბრბოდა თოფ-მომარჯვებული მეხუზლას სასიკვდილოთ, მეგლაძე დაჭრა და „შეიყენა სისხლის ღვარი“.

„ნიკოლოზ გაცეცხლებული სწრაფათ გამოვარდა კარში, ერთი ისე შეტრიალდა, როგორც შევარდნი ცაში, შვიდი-რვაი იქვე მოჭკლა, მეცხრესაც დაარტყა ფხარში“.

სტრაჟნიკთა გარემოცვაში მყოფი მეხუზლა დიდხანს იბრძოდა. ტყვიები გამოელა და ამის შემდეგ დიდად საშიშარი აღარ ყოფილა. ყოველი მხრიდან ალყაშემორტყმული საფარში მოკლეს მეგლაძისა და გარდაფხადის კაცებმა. ისე როგორც ყველა გურულმა ფირალმა, გარდა ოზურგეთის მაზრის სოფელ კვირიკეთის მკვიდრის მეღეჭის გუნთა-იშვილისა, ძალზე „ხანმოკლე ჟამი“ დაჰყო გურიის ცის ქვეშ. დაიბადა 1853 წელს ფირალად გავარდა 31 წლის ასაკში. მოჭკლეს 1892 წლის 15 იანვარს, 39 წელი შეუსრულდა მამინ.

სსონა მაყვალა ჟღენტი



მეცნიერებათა კანდიდატი; თავის ცოდნას უმურველად ასმარდა რაიონის ეკონომიკურ წინსვლას. მისი გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მალე პარტიის რაიკომის მეორე მდივნად იქნა არჩეული, საიდანაც იგი უნაკლოდ კურირებდა სოფლის მეურნეობის დარგს. მერე კი რაის-აბჭოს აღმასკომს ჩაუდგა სათავეში და წლების განმავლობაში ღირსეულად ასრულებდა ამ მეტად საპასუხისმგებლო დავალებას. ასევე

წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. ოზურგეთის მერიის სოციალური სამსახურის უფროსად.

მოვალეობის მაღალი გრძნობა, ადამიანებზე მუდმივი ზრუნვა სიკეთის თესვა სამართლიანობა იყო მისი თანამდევი თვისებები. ასეთად დარჩა სიცოცხლის ბოლომდე, ასეთად დარჩება ყველას გულში სიკვდილის შემდეგაც. იყო რა რაიონული საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი, მუდამ იდგა თავისი ამომრჩევლების გვერდით. თავისი გამორჩეული გული-სხმიერებით და მონდომებით ასრულებდა მათ მოთხოვნებს, წყვეტდა მათ პრობლემებს. სწორედ ამ თვისებების, ამ სიკეთის გამო იგი გამორჩეულად უყვარდა ყველას და გვჯერა, რომ მის ლამაზ სახელს სიკეთის დავიწყება არ უწყერია!

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მეგობრები

„უსაზღვრო ცრემლით, სვედითა და მწუხარებით ვემშვიდობებით უსათნოეს ქალბატონს **მაყვალა ჟღენტს**. თავს ვხრით მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

უახლოესი მეგობრები:

მზევინარ სალუქვაძე, ლამარა, ლონდა დოლიძეები, იზო გოგელია, მზია ნინიძე, ვიოლა თავართქალაძე, ჯულიეტა ხელაძე, ინეზა კუტუბიძე, გიორგი ინწკირველი, ამირან გირკელიძე, დიმიტრი კოსტავა, დავით თოდრია, ვანო ქუთათელაძე, დემურ მეგრელიშვილი.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაურგებობს **თიმურ მარშანიშვილს** დედის, ფაცია მალაზონია-მარშანიშვილის გარდაცვალების გამო

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაურგებობს **თიმურ მარშანიშვილს** დედის, ფაცია მალაზონია-მარშანიშვილის გარდაცვალების გამო

ლიანა ხომერიკი, ანრი, თენგი გიორგაძეები იუწყებიან **მაყვალა ჟღენტის** გარდაცვალებას და თანაურგებობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაურგებობს, კვირიკეთის საჯარო სკოლის პედაგოგს, ეკა მათითაიშვილს დედის **მთერ სირაძე-მათითაიშვილის** გარდაცვალების გამო.

კვირიკეთის საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგური კოლექტივი თანაურგებობს, ეკა მათითაიშვილს, დედის, **მთერ სირაძე-მათითაიშვილის** გარდაცვალების გამო.

ბექას ნამუშევრებს მხატვრებმა აღმოჩენა უწოდეს



ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის სამსატყრო სკოლაში ბექა ხინთიბიძის ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. წარმოდგენილი იყო ბექას 150 ნამუშევარი - ტილო, ქაღალდი, მუყაო (აკვარელი ზეთი).

როგორც სკოლის დირექტორმა პაპა მასხაძემ გამოფენაზე მიწვეულ სტუმრებს უთხრა, ბექა გვიან მივიდა სამსატყრო სკოლაში, თუმცა პედაგოგებმა მალე დაინახეს მისი ტალანტი და შედეგი სახეზეა. ეს შიგა სასკოლო

გამოფენაა. ბექას გზას დიდ ხელოვნებაში დაველოცავთ.

გამოფენაზე მიწვეულმა სტუმრებმა აჭარის საორგანიზაციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნანა სარიშვილმა განაცხადა, იგი გაოგნებული იყო ბექას ასეთი შემოქმედებით, უნიკალური ნიჭის გამოვლენასთან აქვთ საქმე.

ქალბატონმა ნანამ თქვა, რომ ბექას რამდენიმე ნამუშევრის ფოტო ცნობილ მხატვარს, რუსულან ფეცტიაშვილს

გაუგზავნა. რუსულანი აპირებდა ამ გამოფენაზე მისვლას, რადგან იცის, ოზურგეთს ჰყავს გენიალური ახალგაზრდა მხატვარი, მაგრამ უცხოელი სტუმრების ჩამოსვლის გამო ამ ეტაპზე ვერ შეძლო ჩამოსვლა.


ნანა სარიშვილის ორგანიზებით ბათუმის ხელოვნების მუზეუმში გაიმართება ბექა ხინთიბიძის ნამუშევრების გამოფენა.

ამთანადილ თაყვართქილაძე, პედაგოგი: - ბექა ძალიან ბევრს მუშაობს საკუთარ თავზე. თვითონ იკვლევს გზას. ვიზუალურად დანახულს გადმოსცემს. მთელი იმპრესიონიზმი აქვს შესწავლილი. რა თქმა უნდა მის ნამუშევრებში ეხედვით ვან გოგის, სეზანის შედეგების ელემენტებს, მაგრამ მისი ხელწერის ძიებაა. ეხედვით ენერგეტიკულ მხარეს. ისეთი კარგი დამოკიდებულება აქვს საქმისადმი, რომ ის ჩვენზეც გადმოიღოს. დღეს ამ დარბაზში ნამდვილი დღესწავლაა.

თამაზ ღარბინა, გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: - ბექა ინპრესიონიზმითაა გატაცებული, თუმცა ამკარად ჩანს, მალე იგი საკუთარ ხელწერას შეიძენს. საინტერესო კომპოზიციები აქვს გაკეთებული ელ-გერგოდან.

- დიდი შრომა აქვს ჩადებული ბექას მის ნამუშევრებში. საოცარ სამყაროს ვეხიარე. მინდა წარმატებები უსურვო ბექას - განაცხადა მარინა ჯაფარიძემ.

ბექამ ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა დაამთავრა. მას უკვე 500-მდე ნამუშევარი აქვს შექმნილი. სამსატყრო სკოლაში მას რამდენიმე პედაგოგი უწევდა კონსულტაციას, მაგრამ მის მსწავლებლად რეგულარულად ასახელებს.



რატომ ვერ აღწევს გუნდი წარმატებას?

ფეხბურთის მოყვარულთა გამოკითხვით, დღესდღეობით ყველაზე საინტერესო და ყურბადი ჩემპიონატი ინგლისის აქვს. პრემიერ ლიგის გუნდები დიდ ისტორიას ფლობენ და უამრავი ტიტული აქვთ მოგებული ევროპის მასშტაბით. განსაკუთრებით გამოირჩევიან „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“, არის სხვა საინტერესო კლუბები, რომლებიც იბრძვიან გამარჯვებისთვის, მაგრამ საკმაოდ წარუმატებლად. ერთ-ერთი ასეთი არის ლონდონის „არსენალი“



ბურთიანი სხვაობის მიუხედავად შენანიშნავი მატჩი ჩაატარა სახლში, მაგრამ შემდეგ ეტაპზე გასვლა ვერ შესძლო, ასევე მოხდა მიუნხენის „ბაიერნთანაც“

რატომ ვერ აღწევს გუნდი წარმატებას? ამ კითხვაზე პასუხს ალბათ ბევრი ჩვენგანი ეძებს. გამოცდილი ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი, რომელიც ათეული წლებია „არსენალს“ უძღვება, აღზარდა უამრავი ვარსკვლავი, თუმცა მისი აღზრდილები, უმეტეს შემთხვევაში ტოვებდნენ გუნდს და მიდიოდნენ სხვადასხვა კლუბებში, სადაც უფრო მეტი წარმატება და შემოსავალიც ექნებოდათ. ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურ-

თელია „არსენალის“ ისტორიაში ტიერი ანრი, რომელმაც 226 გოლი გაიტანა მეთოფეების მისურით გუნდის ლეგენდარულ თავდამსხმელად ითვლება. ფრანგმა ფეხბურთელმა ასაკის გამო დატოვა კლუბი, თუმცა ის ყოველთვის გულშემატკივართა გულგებში იქნება, ღირსეული თამაშის გამო, „არსენალის“ წარმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი არასტაბილური თამაშია. ის საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურება ჩემპიონატის ცხრილში ჩამორჩენილ გუნდებთან, თუმცა გრანდებთან თამაშში საკმაოდ უჭირს. ყველასთვის გასაკვირად მან წლევეანდელი ჩემპიონთა ლიგის მერვედ ფინალში საშინაო შეხვედრა წააგო „მონაკოსთან“ ანგარიშით 1-3, რამაც გუნდს შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ძალიან შეუმცირა, მაგრამ გულშემატკივარი ყოველთვის ელის საკუთარი გუნდისგან მაქსიმუმს.

არსენ ვენგერი ბოლომდე ბრძოლას აპირებს, მას სჯერა, რომ მეთოფეები სტუმრად იდეალურ თამაშს აჩვენებენ და ლონდონური კლუბი დარჩება ევროპული ტურნირის ფინალურ ეტაპზე.

მომზადდა გიორგი ასათიანმა.

სარკამართო ტურნირში მათა მამაკაიშვილმა ბაიმარჯვა

გურიის ნარდის ფედერაციამ სარკამართო ტურნირი ჩაატარა ნარდში ქალთა შორის, რომელშიც მონაწილეა 12 წველამდე მილი მონაწილეობა.

ნახევარფინალში მათა მამაკაიშვილმა ეკა ნანავა დაამარცხა, ელიკო დოლიძემ თამილა კიკურაძე.

დაძმული გამოდგა ფინალური ორთაბრძოლა. თავდაპირველად ელიკო დოლიძე იგებდა 2:1, მაგრამ საბოლოოდ მათა მამაკაიშვილმა გაიმარჯვა, ანგარიშით 3:2 და სპეციალურ თასს დაუფლამა 3 ადგილი ეკა ნანავამ თამილა კიკურაძესთან შეხვედრაში მოიპოვა.

გურიის ნარდის ფედერაციის თავმჯდომარე ეკა მამაკაიშვილმა გამარჯვებული



და პრიზორები სპეციალური სივლებით დააჯილდოვა.

ტურნირის კარგად ჩატარება მსაჯების (სალამურე დოლიძე, ოლეგ გობორნიძე) მაღალკვალიფიციურობამაც განაპირობა.

„მერცხალმა“ შინ შრა ითამაშა

ბოლო ორ ტურში მოპოვებული წარმატების შემდეგ (ტყობულში „მეზანტესთან“ 1:0, თბილისში „დინამო-2“-თან 3:0), გასულ პარასკევს „მერცხალმა“ შინ ზობის „ჰოლხეთს“ უმასპინძლა.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა კარგად ითამაშეს და 43-ე წუთზე ქურდაძემ გოლიც გაიტანა.

მეორე ტაიმში სტუმრები გაატეხურდნენ, მათ დამატებით დროში, 93-ე წუთზე შეძლეს ანგარიშის

გათანაბრება. 1:1. გათანაბრების ცხრილში 19 ქელით ბოლო ადგილზე წააღწევის „სტური“ იმყოფება. „ჰოლხეთს“ და „მერცხალს“ 26-26 ქულა აქვთ.

„მერცხალის“ მთავარი მწვრთნელი ზვირა ქასრაშვილია. იგი ბოლო პერიოდში კვათურაში „მდაროელს“ წვრთნიდა. ადრე ბოლნისის „სიონში“, „ზესტაფონში“ და თბილისის „დინამოში“ მუშაობდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

 წვიმა +4+8	 წვიმა +2+8	 მზე, +4+13	 მზე, ღრუბალი +9+16	 წვიმა +7+14	 წვიმა +6+9	 წვიმა +6+12
16 მარტი ორშაბათი	17 მარტი სამშაბათი	18 მარტი ოთხშაბათი	19 მარტი ხუთშაბათი	20 მარტი პარასკევი	21 მარტი შაბათი	22 მარტი კვირა